

მუშის სიმაგრე

რედაქციისათვის:

წერილები უნდა გადაეცემოდეს ანდა უნდა გამოიგზავნოს პირდაპირ რედაქციაში, უნდა იყოს დაწერილი სუფთად, გარკვევით და ქალღმერთის ცალ გვერდზე, ავტორის ხელმოწერით და მისივე ადრესით. მიყვებულ წერილებს, თუ რედაქცია საჭიროდ იცნობს, გაასწორებს და შეამოკლებს.

დაუბეჭდავი მასალა არ ინახება და რედაქცია მის შესახებ არ კისრულობს არავითარ მიწერ-მოწერას.

რედაქციის მისამართი: „მუშის სისახლე“ (სმეკალოვსკი და მორსკოის ქუჩა, კუთხე, მეორე სართული).



უოველ კვირული გახეთი რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიისა (ბოლშევიკების) ბათუმის კომიტეტის ორგანო

№ 1.

წელიწადი პირველი

ორშაბათი, 22 იანვარი 1918 წ.

ფასი 25 კაპ.

№ 1.

ამ სანამ გეშო მუშებო, გლეხებო და ჯარის კაცებო!

ამ ბოლო ხანში ძლიერ გახშირდა ხმები ერთი მხარეს უფრო პროვოკაციული. აგრეთვე კონტრ-რევოლუციონერები თხზავენ და ავრცელებენ ისეთ დეპეშებს, რომლებიც სრულიად მოკლებულია მართალ საფუძველს არ დაუჯეროთ მათ! იცოდეთ, რომ ამითი ბნელი ძალებს, რომლებიც სულს დაუფრენ, უნდათ ისარგებლონ და უკანასკნელათ შეეცადონ რევოლუციის დამარცხებას. განსოვდეთ, მუშათა და გლეხთა მთავრობა დღითიდღე ძლიერდება! განსოვდეთ ბოლშევიზში დღითიდღე იზრდება!

გაუპარჯოს ბოლშევიზმა! გაუპარჯოს სახალხო კომუნისტების საბჭომ!

ბოლშევიკების კომუნისტების ბიურო

ამოიყვება „მუშის სისახლეში“ (კუთხე სმეკალოვის და მორსკოის ქუჩების, მეორე სართული).
ღიაა საღამოს 6—9 საათ.

უოველ დღე.

ამხანაგ პარტიის წევრთა მიმართ.

ამხანაგებო! მუშათა და უღარიბეს გლეხების პარტიას შეუძლია იახსებოს და აწარმოოს საქმეები მხოლოდ თქვენი აქტიური და მატერიული დახმარებით ამისთვის თქვენ: ეშვება, გლეხებმა და ჯარის კაცებმა თავისუფალი დრო და შეძლება უნდა მოახმაროთ ჩვენი პარტიის გაძლიერებას.

ამხანაგებო! შემოსწირეთ წიგნაკრები—სამკითხველოს და ჯარის კაცებისათვის უფასო ლიტერატურის ფონდს.

ბოლშევიკების კომუნისტების ბიურო.

რედაქციისათვის.

ამხანაგებო! ჩვენ არ გვგონია, რომ აქ საჭირო იყოს ვრცელი გან-

მარტება და ბრტყელი სიტყვები იმის შესახებ თუ რა მნიშვნელობა აქვს ბეჭდვითი სიტყვას. აგრეთვე, ვფიქრობთ, რომ ყველასთვის ცხადყოფილია ამ იარაღის სიძლიერე დემოკრატიისათვის მტერთან ბრძოლაში. და ახლა, როდესაც რევოლუციის გაპარჯებით მოგვეცა საშუალება თავისუფლად გამოვცეთ ორგანო, რომელიც იქნება თქვენი ინტერესების დარაჯი და გამოხატველი, ვიმედოვნებთ, გულგრილათ არ შეხედვით ჩვენს მიერ დაწვებულ საქმეს, დახელის შეწყობით და ყოველმხრივი დახმარების აღმოჩენით გავვაუმჯობესებთ მდგომარეობას, ვინაიდან უნდა ვახსოვდეთ, რომ მხოლოდ და მხოლოდ ამ უკანასკნელ პირობების საშუალებით შეგვიძლია ვიარსებოთ და განვავრდოთ ეს საყოველთაო საქმე. აი სწორედ ამ გარემოებისთვის გვსურდა მიგვექცია თქვენი ყურადღება.

ჩვენ გადავლახეთ არა ერთი დაბრკოლება, მაგრამ წინ გადავვდებოდა კიდევ სხვა. ამათში, რა თქმა უნდა, ყველაზე უფრო მწვავე აღმოჩნდა საკითხის მატერიული მხარე. რა გავწყობა: ჩვენ ვემსახურებით ღარიბ ხალხის ინტერესებს, რითაც ვამაყობთ, და თვითაც ღარიბნი ვართ. მაგრამ როდღე ვეცემით სუ-

ლით და, როგორც ხევაია ვსთქვით, ჩვენ იმედი გვაქვს, რომელსაც არასოდეს არ დაუკარგავთ, იმის შესახებ, რომ ჩვენ დავცემხარებით თქვენს, ამხანაგებო!

იკითხეთ და გაავრცელეთ ნაცობებში, ხალხში თქვენი გახეთი „მუშის სიმართლე“. დახმარეთ მას, როგორც ფულით, ისე პირადი შრომით.

დღე ნუ უღალატებთ თქვენს ინტერესების დამცველს ორგანოს და, ვფიცავთ, ჩვენც არ ვაქცევთ ზურგს „მუშის სიმართლეს“!

მაშ გაუმარჯოს ჩვენს გახეთს! რედაქციის კოლეგია.

ბათუმი, 22 იანვარი.

ამოვრგვანასაში შავი ძალების თარეშის გამო მოკლებული ვართ პირდაპირი დამოკიდებულებას ცენტრთან. მხოლოდ სანდისხის ზოგადი ამხანაგ ნაგლეჯი მოაწვევს ჩვენსად; უფრო ხშირად მა სანდისხის აგებებს ასეთ სენსაციურ ხმებით, რომლის წყარო, ვსჯი არაა, იმეფება კონტრ-რევოლუციონერთა შორის და მსხდდება იმთქმანებში. კონტრ-რევოლუციონერები გმობენ რა, რომ მათთვის სულ მალე დაჭრავს ყამი განსაცდელისა, სურთ კონტრ-რევოლუციონერებს სტადონ არე-დარევის გამოწვევა, რომ ღვრდა წყალში უფრო

მოსთინადათ აწარმოონ თავისი ქვენი საქმეები.

ეს გვირს ამ მხრით განსაკუთრებით გამოდგება სტრუქტურისათვის გავრცელებულა და თავზე ერთი-მეორის გამახანთილებელი და მოწინააღმდეგე ხმები, ცნობები და დეპეშები.

ვის მო თვლის თუ რამდენჯერ მოგვლეს ეს თუ ის ბოლატიკური მოღვაწე და მერე რამდენჯერ შეგვრეთათ ადამიანებს ვინ იცის თუ რამდენჯერ დაშარცხეს ბოლშევიკები პეტროგრადში და სმოლნა გახანდგურეს, მაგრამ ისინი მაინც არსებობენ და, შეიძლება ითქვას, უფრო მხნეთ მოქმედობენ.

აი, მკითხველო, რამდენა სიღინჯი და მთონინება გმართებს, რომ პროვოკაციის ხეკსზე არ წამოეგო და ასეთ ბურუსიდან გიმოურვევ.

მით უმეტეს, როდესაც ასეთი ნიადაცის შექმნას სულს უწყობენ ყველა ბნელ ძალებიდან მოკიდებული თვით ბოლშევიზმამდე. უკანასკნელნი თავისი დარღობილი და ორჭოფილი წერით და ღმინრებით უფრო ასხვადებენ ისეთივე გამწვანებულ ატმოსფეროს. მაშინ, როდესაც მართუდა და შეეკრინათ, როგორც „სეკლემდვანულ“ პარტიას, რაც შეიძლება ენე-გულად ცდილიყვნენ იმ დონისდაბას მიღებას, რომელიც ხალხს და იმეფება მტერს უწყობდა.

ერთი თავი და თავი საქმეთ დემოკრატიისათვის ამ სანად უნდა ჩაათვალოს კოლეგისთან ბრძოლა. ეს უკანასკნელი ბუდე — სიმარტე კონტრ-რევოლუციის უნდა იქნეს ადებული და ადგვი-

ლი მიწიდან. ეს უკანასკნელი იმედი ბურჟუაზიისა, იმედი ცსოურების ბოლშევიზის უკან დატრიალებისა და ძველი წუობილების რესტორაციისა, უნდა იქნეს გაქარწყლებული. დემოკრატია არა და ვერ მოისვენებს მანამ, სანამ მედიდურათ ამსედრებულ რეპრეზენტერ გენერლებს არ გაუთხრის ქვესკნულს. დემოკრატია მათი ჯიბითს უნდა მოუღოს ბოლო და ძირანათ აღმოეხრება ისინი, ვინც იხელთეს დრო და მოაწინადინეს ხალხის წინააღმდეგ გაღამეება.

იმის ამჯავს ნიშნები, რომ კონტრ-რევოლუციონერები გალდინ-კონტრ-რევოლუციონერების მეთაურებით, შეიძლება, სულ მოკლე ხანში იქნეს დამარცხებული-უკვე არა ერთთა. მაგალითად, იტალიისუბანს, რომ თვით უკანასკნელი იმის თავი უკან-ყოფილებში და ზოგიერთ საწილებში კოლეგის რამი გამოურცხადეს ეს ასეც უნდა მომხდარიყო. ადრე თუ გვიან უკანასკნელი უნდა მიმსვდარიყო, თუ სითამაგადო ისინი რეპრეზენტერ გენერლებს და ამოგან თავი უნდა დაეხწათ.

მეორე მხრით, სახალხო კომუნისტების ერთგული წარები სულ უფრო და უფრო მხნე სამამცხეთ უტევენ კონტრ-რევოლუციონერებს ბუნას; ასე რომ, თუ კი ჩვენს აქედან მივეშველებით დემოკრატიის რანძებებს, მაშინ კალედისი არგულივ შეიძლება უფრო რეგის რეალით, განუტევეს სულს.

ერთი თავი და თავი საქმეთ დემოკრატიისათვის ამ სანად უნდა ჩაათვალოს კოლეგისთან ბრძოლა. ეს უკანასკნელი ბუდე — სიმარტე კონტრ-რევოლუციის უნდა იქნეს ადებული და ადგვი-

„გუშინ სიმაართლას პერ გაუკლვან“

რუსეთი რევოლუციის შემდეგ და უფრო კი რევოლუციისა, ორ მოპირდ აპირე ბანაკათ გაიყო. თუ პირველ ხანებში მოძრაობაში ერთგვარი ერთსულოვნობა გამოსჭვირდა და კლასთა ბრძოლა ცოტათ თუ ბევრათ მოდუნებული და მიყუჩული იყო, მაგიერათ, რაც დღე გადიოდა, მით უფრო აშკარათ ხდებოდა ერთი გარემოვნება: ეს ის, რომ ცხადი შეიქნა—რევოლუციის, თუ ეს უკანასკნელი თანდითან გაღრმავდებოდა, გამოიჩინდა მთლიან ხასიათს, არ დაკმაყოფილდებოდა რაღაც ქუცმაკი მოპოებულ პოლიტიკით, თავისუფლებებით და, პარტიკით, გასწევდა მდგრად თავის მისის დასაბოლოებლათ,— ჩამოიბერტყდა და გადისვრიდა ბარიკადის მეორე მხარეს, არა მარტო ბურჟუაზიის, არამედ არასაკმაოდ რევოლუციონურ დემოკრატიის ნაწილსაც. ასეც მოხდა.

პირველად რევოლუციის ჩამოშორდნენ ყველა ისინი, ვისაც დაწყებდნენ გადადგმული ნაბიჯიც ზედმეტათ ეჩვენათ და მორთეს ღრიალი: კმარა, მეტი თავისუფლება ჩვენთვის არაა საჭირო. (რა თქმა უნდა—აქ განცხადებებით აღარ ვიხსენებთ მილიტარისტული და სხვა ჯურის ბურჟუაზიის, რომლებიც თავიდანვე ქონტრ-რევოლუციის სულის ჩამდგმელი იყვნენ.) ცოტა ხნის შემდეგ რევოლუციის მოწინამდმდევე მტრისკენ გადაბარდნენ სვა და სხვა ნაწილები ნახევრად დემოკრატიული მასის. მაგრამ ეს ყველავე ჩვენთვის იმდენათ მოულოდნელი არ ყოფილა, ვანაიდგან ჩვენ კარგათ ვიცოდით. რომ იმ დღიდან, რაც დღიდან პროლეტარიატი პოლიტიკურ რევოლუციისაში ცოტაოდ ნავათ სოციალურ შედეგების განხორციელების სურვილს შეატანდა ბრძოლაში, მაშინვე მას ზურგს შეაქცედა საზოგადოების დაფრთხალი ნაწილი.

ჩვენთვის ყველაზე განსაკვირებელი ის მოვლენა დარჩა, რომ, ვისაც დემოკრატიის ბურჟუათ ვთლიდით, ვინცხალხის შესვეურებათ გვევლინებოდნენ, ვინც გვეგონა საუკეთესოებშიაბტრენი იმათ წითელი დროშა დახარეს და ლამის არის ლაფშიაც ჩაფლან. იმის მაგიერათ, რომ მოძრაობის ავანგარდში ჩამდგარიყვნენ,—ჩამორჩენ მას და უნდა თვალთ დაუწყეს ყურება. მაგრამ ეს რაა,—გგონიათ რომ ასეთი როლით დაკმაყოფილდენ? არა, ეს როდი იკმარეს და საბარცხინო საქციელით მოურცხავი დადი დაირტყეს შუბლზე: მოინდომეს რაც შეიძლება შეეწყობთ ხელი მისთვის, რომ რევოლუცია მეტად მწირი და უნაყოფო დარჩენილიყო. ისინი გამოუდგმებული აჩენდნენ სხვა და სხვა ზომებს და გულმოდგინით იღებდნენ ისეთნაირ ღონისძიებებს, რაც აფნებდა და ფრთებს შეაკვეცდა

რევოლუციის. ამასთანავე სრულიად არ ეჩვენათ უხვბუნლათ, ერთი და იმავე დროს. ცალი ხელი რომ „მუშის სიმაართლის“ ალაგზე ეკიდათ და მეორე მეგობრულად გაწვდილი ქონდათ ბურჟუაზიისაკენ. და ასე ვინ იცის როდემდის გახტანდა ესეთი ორმაგი ყოფაქცევა ამ პირთა, რომ პროლეტარიატი დროზე გონს არ მოსულიყო დი არ ეთქვა მათთვის: არა, ვაჰბატონებო, კმარა რაც გენდევით. ახლა კი შორს ხე უნდა გვადოთ ვერ გადავხვევინებთ! თქვენ მოგეხსნათ ის ნდობის გვირგვინი, რომლითაც ავტუჟრვით მუშათა კლასმა. თქვენ ვერ გამოდევით „მუშის სიმაართლის“ მატარებლათ და დარჩით რევოლუციის გარეშე გარიყული. შორს ჩვენგან!

მიხაკ — ბაჰი.

კალედინის დამარცხება.

თფილისში მიღებულ ცნობებით როსტოვი აიღეს საბჭოების ერთგულმა ჯარმა კალედინი განადგურებულია სრულებით, დატყვევებს ასობით მისი თანამეგობრები. ბაღმევიკების გამარჯვებული ჯარები ფეს-და-ფეს დაუდგენენ გაქცეულ კონტრ-რევოლუციონერებს. თვით კახახების მშრომელი მასა აუშნე დრდა კალედინს. უკანასკნელი ციხესიმაგრე ბურჟუაზიისა და იმისხვრა.

მუშათა და კლეხთა რევოლუციის ხარობს თავის გამარჯვებას.

ეველას ამ დღეების ცრუ დეპეშები გამოდიოდნენ თვით კალედინის ბანაკიდან, რომელიც კახსეუული იყო გამანადგურებელ რევოლუციის ცეცხლის ალში.

როსტოვიდან სომეხთა ერთგულ საბჭოს ატეობინებენ ბოლშევიკების გამარჯვებაზე. დაჭერილია კალედინი და 24 მისი ახლოებელი დახმარნი.

თფილისში არგეთვე მიიღეს ცნობა, რომ ხმები ლენინის მოჭკეულის შესახებ მოკლებულია სიმაართლეს.

კლასთა ბრძოლა თუ სამოქალაქო ჯარი?

ხშირად წავიკითხავს ხოლმე ადგილობრივ პრესაში და გავვიგონია არა ერთხელ სიეზღებზე, კრებებზე და ყველგან იმის შესახებ, რომ ამიერკავკასიის დემოკრატია—სხვებ-

ზე უფრო გათვითცნობიერებულია და მოწინავე რაზმის არამც თუ მარტო კავკასიის, არამედ რუსეთის დემოკრატიისაც კი. ასეთ დაფასებაში, შესაძლებელია ერთგვარი ქეშმარიტების ქონდეს ადგილი, უფრო კი როდესაც მის წასულს ეხებიან. მაგრამ, როდესაც ასეთნაირ ატესტაციას ისმენთ ყოველ წუთს და უმეტეს ნაწილათ თვით „სოციალ დემოკრატების“ ბაგეთაგან, რომლებიც უპირდაპირებენკავკასიის დემოკრატიას მთელ რუსეთის რევოლუციონურ დემოკრატიას, რომელიც ჩათრეულია უმაგალითო და უღმობელ ბრძოლაში ორგანიზაციულად მძლვე ბურჟუაზიისთან, კაპიტალთან. ზავისთვის, მიწისთვის და თავისუფლებისათვის, და რომლის გამარჯვებაზე არის დამოკიდებული ბედობალი და მომავალი არა მარტო რუსეთის რევოლუციისა, არამედ შემდეგი განვითარება და წინსვლა მთელი საერთაშორისო სოციალიზმის, მაშინ, ვფიქრობთ, არაა ლამაზი ქების ასხმა მარტოთ ჩვენ დემოკრატიისადმი და ასეთი ხოტბას, რომელიც სმენას ეხამეშება არ უნდა ქონდეს ადგილი. და უნებლიეთ იბადება აზრი უარესი ფორმის ბურჟუაზიულ პატრიოტიზმზე, თავის კუთხის პატრიოტიზმზე, იმ სენზე რომლითაც მენშევიკები იქნენ შებყრობილი, ოდესღაც კი დაუძინებელი მისი მტრები. მაგრამ ეს იყო წინათ...

მაშინ, როდესაც მენშევიკებს ჯერ კიდევ არ დაევიწყოდათ, რომ სოც. დემოკრატია უნდა აწარმოოს თავისი, კლასიური, პოლიტიკა, რევოლუციონურ მარქსიზმის პრინციპების თანახმად. როდესაც მათი ბელადი ნ. ჟორდანია მთელი თავისი ძალ-ღონე და ნიჭს ანდომებდა დაუზოგავ დაცინვას და გაბათილებას ფედერალისტების ლიდერის არჩ. ჯორჯაძის უტოპიური მოსაზრებებისა, რომელიც ღალატებდა იმისი შესახებ, თუ როგორ შეიძლება მოინახოს მთელი ქართველთა საზოგადოებრივ კლასების „შესათანხმებული ნიადაგი“. მაშინ სისწორით გვითათბდენ იმაზე, რომ სოციალ-დემოკრატიას აქვს თავისი საკუთარი საგალი გზები, თავისი მეთოდი პოლიტიკური და სოციალური ხასიათს საკითხების გინილივისა.

მაგრამ დრონი იცვალენ... და ახლანდელ რევოლუციის მსვლელობის საფეხურზე მენშევიკებმა დაბდვენ სამარცხინო გზას მოსთბრიშეს, როგორც ნაწილი ცოცხალ სხეულს, ამიერკავკას. დემოკრატია რუსეთის რევოლუციონურ-სოციალისტურ ფრონტის ერთეულს. ამასთან ვერ შეიკავეს თავი და, დაქონებულნი, ჩამოხრიალდენ ნაკლებ ხარისხოვან ოპორტუნისტობის პოზიციამდე, რომელიც არ განსხვავდება პლენხანოვ-პოტრესლეების ახალი მოძღვრებისაგან, თან კლასთა ბრძოლის მაგიერათ აღიარენ სამოქალაქო ჯავი და გამოაცხადენ ბურ-

ჟუა—შოვინისტურ ელემენტებთან შეერთების სასურველობა.

თანდათანობით და შეურყევლათ დაქვეითების მიზეზით მენშევიკების პარტია ინტერნაციონალურიდან გარდიქმნა ნაციონალურ პარტიათ, რომელიც ლაპარაკობს არა მშრომელთა მასის სახელით, არამედ მთელი ნაციისა. ასეთი პოლიტიკა კალთა გადაფარების და მიუჩინების კლასობრივ წინაღმდეგობისა თავის-თავად ცხადია ბუნებრივით მოასწავებს ცალბი პატრიოტიზმის და სეპარატისტული ტენდენციების ზრდას. და ახლა თვითვე მენშევიკები დააფრთხო მათივე გამოძახებულმა არჩილიმა. მენშევიკებმა სამართლიანათ დაგმეს ნაციონალურ გახეთების „ავოზროდენიეს“ და „საქართველოს“ ვამოლაშქრება, როგორც „რეაქციონური და პროვოკაციონური მოქმედება“ (იხ. „ერთობა“ № 1.) მაგრამ იცივე მენშევიკები გვერდით უხხედან ამ „რეაქციონერებს და პროვოკატორებს“ ნაციონალურ საბჭოში და ერთადვე საქმიანობენ!.. მენშევიკებმა ახლა დასცხეს დაფს და ნაღარას და ეძახიან დემოკრატიას შეერთებისათვის. მაგრამ ვისთვის არის ის ამბავი ახალი, რომ ჩვენ მუდამ ვიყავით და ვიქნებით დემოკრატიის შეერთების მომხრე. განხეთქილება მუშათა, ჯარის-კაცთა და უღარიბესი გლეხთა შორის ჩამოვარდა იმისთვის, რომ დემოკრატიის მარჯვენა ნაწილი, ობორცების მეთაურობით, გამოეთიშა მარცხენა ნაწილს და მაშვრალთა და დაბნელებულთა კავშირს ბურჟუაზიისთან მემამულეებთან და კაპიტალისტებთან დაძმობილება იჩიის.

აი რისთვის, ჩვენ დავრჩით რა ერთგულნი კლასთა ბრძოლის პრინციპებს, არ შეგვიძლია ვიცნათ დღენაკლული ამიერკავკას. მთავრობა, რომელიც აღოცენდა „კოალიციურ“ ნიადაგზე.

ჩვენმა მენშევიკებმა, ვაიგვენ რა მთელ რუსეთში თავისიანთ პოლიტიკურ გაკოტრებაზე. შევეცადენ აქ მაინც შეანარჩუნებოთ თავისი მდგომარეობა და ამისათვის საჩქაროდ დაუმეგობრდნენ და ჩააკრეს გულში ბურჟუაზიულ-ნაციონალისტ. პარტეები მათ ეგონათ ამით აიცილდნენ სამოქალაქო ომს და დაამყარებდენ რევოლუციონურ წესრიგს.

მაგრამ რა ნაყოფი გამოიღო მათი ასეთნაირ საქმიანობამ ყველა ცხადთ ხედავს,

აი ასეთ პოლიტიკამ მიგვეყვანა იქამდის რომ სურსათ-სანოკავას კრიზისი კარზე მოგვადგა. ასეთ პოლიტიკამ, პოლიტიკამ მუშათა და გლეხების მთავრობის არ დაშორებისა ქმნა ის, რომ ჯარმა დასცალა ფრონტი.

ასეთ პოლიტიკამ მხოლოდ გააღრმავა და გააფართოვა ანარქია და შეიძლება ბევრათ გადააქარბოს იმ „ანარქიას“ პროლეტარიატისას და ლაზბ გლეხობისას, რომელხედაც მენშევიკები ცილისწამებით ღაპარაკობენ... და ახლა თვით ამიერკავკასიის

დემოკრატიათ აიჩიოს, რა სჯობია მისთვის:

წითელი დროშა ინტერნაციონალისა და სამსახური საერთაშორისო პროლეტარიატის საქეყნო საქმეს თუ ყალბი და კუჩური პატრიოტიზმი?

ანარქია მთელი თავისი შედეგებით თუ მიზანშეწონილი რევოლუციონური წესრიგი, დამყარებული მშრომელი ხალხის გამარჯვებით?

სამოქალაქო ჯავი, კლასობრივი შეერიგება მდიდრებთან და ექსპლოატატორებთან თუ მდგრადი კლასობრივი ბრძოლა მათ წინააღმდეგ?

მის კახიანი

მენშევიკები და საბჭოები.

რუსეთის დიდი რევოლუციის რეზულტურ, ფაქტიურ ძალას წარმოადგენენ მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა საბჭოები. ესენი აერთიანებენ მთელ რევოლუციონურ დემოკრატიას, ესენი არიან, რომ სათავეში უდგანან რევოლუციონურ ხალხს და მხნეთ სცავენ რევოლუციის კონტრევოლუციისაგან. მათ ეს არა ერხელ-და-ორხელ დაგვიტყვეს და დაგვანახეს. მათ მოუღეს ბოლო აგვისტოს უკანასკნელ რიცხვებში მომხმარ ბურჟუაზიის ფართო აჯანყებას რევოლუციის წინააღმდეგ, იმ აჯანყებას, რომელსაც მეთაურობდა წერეთელ-კერენსკის მიერ გამოთავარსარღლებული, 18 ივლისის და რივის გმირი, კორნილოვი და რომელშიაც მალულათ მაგრამ აქტიურ, მოწინააღმდეგეებულბოდა დროებითი (კოლაციონური) მთავრობის ზოგიერთი გამოჩენილი წევრნი, თვით მინისტრთაგმდომარის მეთაურობით.

ეს საბჭოები ეყო რომ რაღესაც მთავარსარღლის მიერ რივის დიდი ტური დატოვების შემდეგ გვრამინის ფლოტი შემოაქრა, „მოკავშირეთა“ ლოცვა კურთხევით, ბოლშევიკებში, რათარუსეთის რევოლუციისათვის დახვარი ჩაეცა შიგ გულში პეტერბურგში და წერეთელ-კერენსკის მთავრობა გაქცევის აპირებდა „ანარქიული“ ჩრდილოეთიდან უფრო „წეს-რიგის“ მოყვარულ სამხრეთისაკენ—აი ამ დროს, ვიმეგორებ, საბჭოები იყვნენ, რომ ხმა-მალლა. საქეყნოთ განაცხადეს: არა, ჩვენ პეტერბურგს არ დავტოვებთ, როდგან ეს იქნებოდა რევოლუციის საშინელი ღალატი; ჩვენ დაიციამთ მას უკანასკნელი სისხლის წვეთამდის გერმანელ და რუს იმპერიალისტებისაგან და ან გაკიმარჯვებთ ან დავიხოცებით. და აკი გაიმარჯვეს!..

ეს საბჭოები არა იყვნენ, რომ როდესაც კერენსკიმ, ამ რევოლუციის ტაკი-მასხარამ, გენერალ კრასნოვის კახაკებით გამოილაშქრა პეტერბურგისაკენ, მუშათა და გლეხთა მთავრობის წინააღმდეგ—მას შესა-



ერი პასუხი გაცეს ცარსკოე სე-
ლთან და კოლონიოსთან?
და დღესაც საბჭოები არ არიან,
რომ კალენდინი-კორნილოვ-დონს-
კოი-პეტლიურას მიერ ამართულ
კონტრ-რევოლუციონურ დროშას
სასტიკათ, უღმობილათ ებრძვიან
და დღეს არის თუ ხვალ კიდევაც
ზასწავენ მას მათ მიერ ანთებულ
კონტრ-რევოლუციონური ცე-
ცხლში!

და ბევრი კიდევ სხვა აქვს საბა-
დლობელი რუსეთის რევოლუცი-
ის საბჭოების წინაშე!!! მაგრამ ნა-
თქვამიც აშკარათ ღალატებს იმ უბ-
რალო რამეს, რომ რევოლუციის
მოყვარე უნდა იყოს საბჭოების მო-
ყვარეც და რევოლუციის მტერი
მისი (საბჭოების) მტერიც. და
განა ეს ასე არ არის?! როგორ-
კი განდა საბჭოები, ბუჭუბუხი და
ყველა მისი ასეულ-დასეული კონ-
ტრ-რევოლუციონური წრეები ყო-
ველი ღონეს ხმარობდნენ. რათა
გაეცხათ მისთვის სახელი. იმდენი
ძალა არ შეწყვედათ, რომ იარაღთ
ხელში გაეჭროთ ისინი და სხვა ზო-
მებს მიმართენ: „საბჭოები არ გა-
მოხატავენ ხალხის უპირატესობის
სურვილებს; მათი ხელმძღვანელები
გაუნათლებელნი და უსწავლელნი,
რინა, მათ არ შეუძლიათ ხალხის-
გადილოლა“ გაიძახოდნენ ისინი, ბო-
ლოს იქამდის დაეცნენ, რომ ზოგი-
ერთი გამოჩენილი საბჭოების ხელ-
ძღვანელები მოლაღატებთ და
როგორც კარგებთ კი მონათლეს.
რასაკვირველია ამ მხრივ ყველაზე
ბრტე ბოლშევიკურ პარტიას ხვდ-
ზოდა. ასეთ ღალატ-გინებას დე-
მოკრატიკაში გასაგალი არ ქონდა
და უკანასკნელიც მედგრათ იცავ-
და თავისი ორგანოებს ასეთ საზიზ-
ღარ ცილი-წაშებისგან ერთ დროს
მენშევიკებაც იცავდნენ საბჭოებს,
მაგრამ ეს იყო და გაქრა, რო-
გორც ეტყობა სამუდამოთ. ეს იყო
მაშინ, როდესაც საბჭოების უპირა-
ღესობა კიდევ მიყობოდა მათ და
გაქრა მაშინ, როდესაც საბჭოებმა
მართლაც შეიგნეს თავისი ძალა და
უფლება და რევოლუციის საჭე
თვით აიღეს ხელში. და დღეს ტუ-
ლად, სულ ტუტულად იტარებენ
თავი „ერთობა“ როდესაც სწერს
(პ. ბ.): „ესა სხვა და სხვა ერის
შოვანისტები გაბედულათ ხმას იმა-
ღლებენ მუშათა, ჯარისკაცთა და
გლეხთა საბჭოების წინააღმდეგ და
იწუნებენ მათ მოქმედებას“ ასეთი
თავის კატუნით „ერთობა“, რასა-
კვირველია, ვერავის ვერ დატყვი-
ლებს, გარდა ერთი-ორი-თავის თვალ-
ანხვეულ მკითხველებისა, სამაგიეროთ
თავისი თავს კი მაგრათ იმართებენ.
ჩვენ ვეკითხებით გაზეთ „ერთობა“ს:
თქვენ, მენშევიკები „გაბედულათ
იმალღებთ“ (და ესაღაც იმა-
ღლებთ) ხმას რუსეთის საბჭოების
უპირატესობის წინააღმდეგ თუ არა?
ეს ერთი. მეორე: თქვენ „იწუნებ-
დით (და ესაღაც იწუნებთ) მათ მო-
ქმედებას“, რომელიც გამოიხატა,
სხვათა შორის, სახალხო კომისარ-

თა სმბჭოს შტაბში, თუ არა?
და თუ კი ყველა ამხედ თქვენ
შეგიძლიათ გვიპასუხოთ მხოლოდ
„კი“, რადგან წინააღმდეგი იქნებო-
და ისეთი უსინდისო ტყუილი, რო-
მელსაც, თქვენ იცით, არ გაბატი-
ვებთ თვით ყველაფრის დამჯერი
თქვენი მკითხველი, — ჩვენ სრული
უფლება გვაქვს გიწოდოთ თქვენ
ის სახელი, რომელიც თქვენ თვი-
თონ იმკობთ თქვენ „ინტერნაცი-
ონალისტურ“ სახელს — შოვანისტე-
ბი. შეიძლება თქვათ: „ჩვენ ამას
გწოდებთ მხოლოდ კავკასიის საბ-
ჭოების შესახებო“. გვაპასუხებთ:
პირველად ყოველისა, ჩვენ ვერ
გაგვგობია, თუ რატომ ის ხალხი
რომელიც ადგილობრივ საბჭოების
წინააღმდეგი ლაშქრებს არის შოვი-
ნისტები, ის კი რომელიც რუსეთის
საბჭოების წინააღმდეგ გამოდის და
იბრძვის — უბრალო ინტერნაციონა-
ლისტი. მეორედ, განა თქვენ მენ-
შევიკები ადგილობრივ საბჭოებსაც
ისე აუზრად არ იგდებთ, როგორც
ცენტრისას? გაიხსენეთ თქვენი, მე-
მარჯვენე ესტრეზთან და „ინტერ-
ნაციონალისტ დაშავებულთან“ ერ-
თად სამარცხვინო დებურტრობა
მეორე სარმიო ყრილობიდან, რო-
დესაც თქვენ, უმცირესობამ, უზურ-
პატორულად თავისი თავი კანონ-
იერ საბჭოთ გამოაცხადე? ნუ თუ
ოდნავი პატივისცემამ „საბჭოების
და თქვენი თავისადმი არ გაიძულათ
თქვენ დამორჩილებოლით უმადლე-
სობას? და ეს არის თქვენი დაცვა
საბჭოები? გაიხსენეთ თქვენი აგრე
თვე არა ნაკლები „სასახელო“ მო-
ქმედება კავკასიის მუშათა ყრილობ-
ის დროს! როდესაც თქვენ ისე-
თი სამრწველო ცენტრების მუშებს,
როგორც არიან ბაქო ნოვოროსი-
ისკი, გროზნო და სხვები ყრილობ-
ის კარი დაუხშეთ? ესეც თქვენი
პატივიცემა საბჭოებისადმი! კიდევ
რამდენი ჩამოვთვალთ! ემარა ბა-
ტონებო! რაც გვატყვილეთ გეყო-
ფათ. დღეს, თქვენ, მენშევიკები,
საბჭოების დაუძინებელი მტრები
ხართ. თქვენმა არა-ჩვეულებრივმა
სიუზღმა პეტერბურგში სულთათნაც
ქე უგალობა საბჭოებს სოკოლნი-
კოვ-დან-ლიბერის პირით, თუმცა
ამით მათ მხოლოდ თავისი თავს
უგალობეს სულთათნა.
მით უკეთეს.. აქ სატირალი და
სავალალო არაფერია. პრაქტი-
რევოლუციისათვის მით უფრო
ხელ-საყრელია თუ კი მისი ფარული
მტრები, ფარდას აიხთიან და აშ-
კარად, ნამდვილი სახით გამოჩნდ-
ებიან. მენშევიკებმა ამ მხრივ გვარი-
ანი „გაქაცობა“ გამოიჩინეს ისი-
ნი ესლა უკვე აშკარათ ესვრიან
ტალახს იმ „კერპს“ რომელსაც
ამდენი ხანს თვითონაც ცემდნენ
თავიანს. რა უყოთ! არც გამტყუ-
ნებთ მათ ბანაკში უკვე მოხთა ძველი
ლიდი ფასიანი ღირებულებათა ახა-
ლი შეფასება და ამ ახალი შეფა-
სების დროს აღმოჩნდა, რომ ძვე-
ლი კერპები თურმე ყველა დასამ-
სხვრევი ყოფილა და აქი დაამსხვრი-
ეს კიდევ: მარქსიზმი, ინტერნა-

ციონალიზმი, სოციალიზმი და ბევ-
რი კიდევ სხვები. და რა უყოთ,
რომ ამ დამსხვრეული „კერპების“
საბჭოებიც აღმოჩნდა. სამაგიეროთ
მათ ახალი კერპების აშენებას მო-
კიდეს ხელი: ნაციონალიზმი, ანტი-
დემოკრატიზმი და ბევრი სხვები და
რა უყოთ, რომ ამ ახალი კერპებში
საბჭოების ადგილი ეროვნული საბ-
ჭოებმა დაიკავა!
აი რომ სწორედ მენშევიკებზედ
ითქმის.
«И я сжег все, чему поклонялся
„Поклонился всему, что сжигал!»
306 — ბან.

პ რ ე ს ა .

ობორანც-შოვანისტების ბლო-
კის ლეიბლი შეილი, ამიერ-კავკ.
კომისარიატი. ისეთი მდგომარეობა
ში იმყოფება, რომ მისი ყოფნა
არ ყოფნის საკითხი დღის წესრიგ-
ში ჩსმება. ამას გრძობენ ჩვენი
მენშევიკები და ცდილობენ რაც
შეიძლება დაავიანონ ის საათი,
როდესაც იძულებული იქნებიან
სრულიყოთ და სამუდამოთ გაეცა-
ლონ ხალხს და გაეყარონ დემოკრა-
ტიას რომელიცდაც ისინი ისე
დაშორებულნი არიან, როგორც
ცა ხმელეთს. და ახლა, როდესაც
ბ. ბ. გეგეკორები და კომპანია
დააწმუნდნენ, რომ კომისარიატის
დღეები დათვლილია, სურთ გამო-
იგონონ სხვა ფორმის დაწესებულებ-
ა (სემი, ნაკიონალ. საბჭოები)
და ამგვართ აიცილონ ხიფათი
თავიდან, შეინარჩუნონ ძალა უფ-
ლება და არა შეიშინონ ვაკოტრება.
„კავკასკ. რაბოჩი“. შეთერთმეტე №
ფ. მ., ათას და პირველქურ ეხება
რა ამას, ამბობს:
„ერთი სიტყვით, მთა-
ვე პარტიებს ჩვენში, მენშევიკ-
და ესტრეზს, კარგათ ესმით
ახლა, რომ ისინი ყველა თა-
ვისი ეროვნულ საბჭოებით და
კომისარიატით სრულიყოთ გა-
კოტრდნენ და ჩაიფლეს ისეთ
ქაობში, საიდანაც ვერასოდ-
დეს ვერ ამოვლენ. მაგრამ
ამოსვლა მაინც სურთ, და ამი-
სათვის ისინი ებლაუტებიან
ამიერ კავკას. სემს“.
და ასე ათავებს: ჩვენ დაბეჯითებით
ვაბობთ, რომ ეს
ახალი ავანტიურა ობორან-
ცებს ვერ უშველის და დამ-
თავრდება ისევე სამარცხვინოთ,
როგორც პირველი“.

ჩვენც გვგონია. ამ ახალი ფანდითაც
ვერ გავლენ ფონს ბ. ბ. მენშევი-
კები.
* * *
მენშევიკების „ოფიციალიზმი“ „ერ-
თობა“ (№ 13) თავის მოწინავეში
სწერს: ბნელი ძალები წინააღმდეგ
მხოლოდ იარაღთა შეიძლე-
ბა გამოკლავება. შეიარაღებ-
ეს უპირველესად ჩვე-
ნი მოვალეობა. ამიტომ ყველა,
ვისაც კი იარაღის ტარება შე-
უძლია უნდა შეიარაღდეს, ია-
რადის მოხმარა ისწავლოს“.
კარგი და პატიოსანი. მაგრამ ერთ-
მობრძანეთ, თუ თქვენ მოქმედებ-
ში სიტყვა სხვა და საქმე სხვა არ
არის, რისთვის ასე გულმოდგინით
ყრით იარაღს რუსის ჯარს? თუ
იმით იარაღი არ სჭირათ ბნელ
ძალების წინააღმდეგ? ასეთი საქცი-

ელს გოტენტოტის მორალით ხელ-
მძღვანელობას უწოდებენ. დაშავ-
ველ-ესტრეზის ორგანო
* * *
„კავკასკოე სლოვო“ ვერ იკა-
ვებს თავის გულში სიხარულს
და ეყრდნობა რა უცენტრო-
ბის „უწყებებდან“ ამოღებულ
ცნობას ლენინის მოკვლის შე-
სახება — თავისი გაზეთის №12-ში
უძღვინის ლენინის ხსოვნას ნე-
კროლოგს. ერთი მხრით, ჩვენ
გვინდა მივაქციოთ მკითხველის
ყურადღება იმაზე თუ როგორ
სწადიან კონტრ-რევოლუცი-
ონერებს ლენინის სიკვდილი,
რომ ვერ მოუთმენიან ნამდვი-
ლი ამბავის გაგებაში მოიცა-
ლონ და ადვილათ შეიძლება
ნადრევი დაურჩეთ ზემი; მე-
ორე მხრით, ჩვენ გვინდა უთ-
ხრათ შევრახვთ: ტყუილათ
ხარობთ, კიდევაც რომ მოჰყ-
ლა ლენინი, მართალია, ჩვენ-
თვის ეს აუნაზღაურებელი და-
ნაკლისი იქნება მაგრამ თქვენ
მაი ნუ გგონიან ამით წაგე-
ბული საქმე მოიგოთ, ვინაიდან
გახსოვდეთ რომ ასეთ მასიურ
მოძრაობაში, როგორც რევო-
ლუციონა ჩვენ პიროვნებას
დიდ როლს ვერ ვაყოფებთ.

მეც მინდოდა — მოგსწრებოდი!

(ესკიზი).
სული ჩემი იბრძოდა — იტანჯებო-
და; გული ჩემი ძეგრდა — ტოკავდა!..
მთელი არსება — გრძობა-გონება
ერთ აზრს, ერთ ღვთაებას დაეყრა.
მე მის მორჩილი, ყურმოჭრილი მო-
ნა ვიყავი!.. ოღონდაც შეხილა, ნე-
ტამაც მოგსწრებოდი!!! მის სურნე-
ლოვანი წინდა ჰაერით მესუნთქე!
მის მშვენიერებას შევხებოდი... გა-
გრამ ის ვარბოდა, მიქროდა შორს
და ცოდვილიან კაცის თვალს ემა-
ლებოდა... არ სურდა დაშვებოდა
ძირს, ამ ცოდვითა და ბოროტებით
აღსაყვე დედამიწაზე!.. მიქროდა,
მეურიალებდა!.. ამოა იყო ვედრება,
კრემლი, გოდება და ტანჯვა განა-
წამება-ტანჯული ადამიანისა... ამოა
იყო ყოველი!..
ჰაა, შევარდენის ფრთებს გამოე-
სხა პირშავ ორთავიან არწივს!.. ის
ორივე სისხლით გატენილ გაუშაძ-
ღარ პირიდან ცეცხლსა და ნადვერ-
დლებს ყრიდა!.. ადამიანის ზღვა-სის-
ხლში ამოებანა მას გრძელი შეუ-
ბრალებელი კლანჭები, ჩაფრენოდა
ამ მრავალ-ტანჯულ დედამიწის
ზურგს და ხარბათ ილუქებოდა
ადამიანის ღმერთ! სჯამდა და ვერც
ძღებოდა!.. დიდი, დიდხანი ილუ-
ქებოდა ასე ხარბათ შავი ორთავი-
ნი არწივი...
ერთ მშვენიერ დღეს მიწის ძვრა
მოხდა: დედამიწა გადატრიალდა...
შავი არწივიც, რომელსაც ხაზბათ
ქვედა კლანჭები დედამიწისთვის —
ქვეით მოკვია!.. პირშავი არწივი
ჯოჯოხეთში მოექცა!.. იწვება და
იტანჯება ცეცხლის ალში არწივი!..
ადამიანა კი გაიხარა!.. დაისვენა!
მნათობი მზეც სხვანაირი მხიარუ-

ლებითა და ზემით აწვიწვიდა, ეწვი-
მისმა მხურვალე ნათელმა სხივებმა
არწივს ზვეიდან დასცუნა და ფრთე-
ბი შეუტრუსა!.. არწივი აქელდა სი-
სხლით შედგებილი წითელი მხურ-
ვალე ენა გაღმავლო და მარჯვენა
ფრთის ბოლოთი ანიშნა მრავალ-
ტანჯულ, წინეთ მისგანვე ბრხოლო-
ში განაწამებ და გმირულით დაცე-
მულ სამოთხეში მყოფ ლაზარეს,
რათა ამ უკანასკნელს თითი დაესო-
ლებია და მისთვის ენა გაეგრილე-
ბია!.. ლაზარემ პასუხით ერთი ლა-
ზათიანი წიხლი ჩააყოლა მტარვალ
არწივს...
კვდება არწივი!.. კვდება მტანჯვე-
ლი!.. მაგრამ ჩემი სული კვლავ
სწუხს, კვლავ იღაგება!.. ახალი ჰა-
ტარა ორთავიანი არწივებიც დაი-
ბადენ! ისინი სისწრაფით იშლები-
ან... ჩვენს თავისუფალ დიად მხეს
უნდათ მნათობელი სხივები მოჰპა-
რონ!.. ტანჯულ ადამიანს მანაც კი
ულაღატა, ვინც გუშინ მას ძმობას
და ერთგულებას ეფიცებოდა!.. ის კი
ბედით კრული თვისი საკუთარი ია-
რალით შეუდგა სანატრელ ბედ-ილ-
ბლის გამოკვევას...
შავი არწივები დათარეშობენ —
შავ ყორნებისა და ყვავებისა რაზმს
ადგენენ!.. ადამიანზე კვლავ თავ-
დასხმას ლამობენ! მომაკვდავი ორ-
თავიანი არწივს დახსნა უნდა მის
ერდგულ შვილებს და ჩვენ სამოთ-
ხეს ჯოჯოხეთთა ქცევას უპირებენ!..
არწივებო, ყვავებო, ქორებო
ქილყავნო ამოთ ჩავივლით თქვენი
ცდა!.. ჩვენ დიდი ხანია გვინდოდა
მოგსწრებოლით ამ დღეს დიდი ხანია
მისთვის ვეშაღებოლით! იარაღს ვი-
სხამდით!.. ნუ გგონიან, რომ ჩვენს
სამოთხეს, თქვენს სამოთხეთ გაიხ-
თით!.. მოლაღატენო არა დაგანე-
ბებთ სისხლიან კრემლებით შედე-
ბილ ხალხის თავისუფლების დრო-
შას!.. შორს განვედით ჩვენგან
ცხიერნო!..
გიცნობთ ვინცა ხართ!.. ჩვენ
ბძოლაში უკვე გამომწვარი ვართ!..
ჩვენ თქვენთან ბრძოლა კარგათ ვი-
ციოთ! შორს აღქაჯნო! ჩვენ ვიბ-
რძობით იმიტომ, რომ თქვენს და-
სამარებას ჩოვსწრებოლით!.. და...
მოგსწარით კიდევ! მზეც ჩვენთვის
ანათებს!.. ცხოვრების ძლიერი, შე-
უბრალებელი კანონებიც ჩვენ ხელ-
თა! განვედით ჩვენგან!.. თქვენი
ადგილი — შავი ჯოჯოხეთია! გეყოთ
რაც სისხლში ხელ-პირი იბანეთ!..
არ შეგვრჩებათ!.. შორს...
გადი არსენაზილი
პოსთან უნდა ვიქნათ
ღმის ჩვენ?



გლისშია) იყო მოწვეული ყრილობა რ. სოც. დემ. მ. პ. აქ, ამ კრებზე, სხვათა შორის განიხილეს საკითხი: თუ როგორი რევოლუცია მოხდება რუსეთში და როგორ სახეს მიიღებს ეს რევოლუციაო. უმცირესობა ამ ყრილობის ადგილზე აზრს, რომ რუსეთში მოხდება ბურჟუაზიული რევოლუცია, იმისათვის რომ სხვა და სხვა ეკონომიურა და პოლიტიკური მიზეზების გამო, ბურჟუაზიაც არის დანტერესებული თავთმპყრობელობის დამხობა იო; და ამისთვის საჭიროა, როდესაც მოხდება რევოლუცია, ბურჟუაზიულ მთავრობის შექმნა, ვინაიდან ბურჟუაზია რევოლუციონურიაო. უმრავლესობა კი ამ ყრილობის ამტკიცებდა, რომ ბურჟუაზია არის კონტრ-რევოლუციონური კლასი, რომელიც ამით გადიქვა 1848 წლის შემდეგ, მას შემდეგ, რაც პროლეტარიატმა იწყა ორგანიზაციულად და შეგნებულად გამოსვლა, ამანდაფრთხობ ბურჟუაზია, და ის ყოველ ღონეს ხმარობდა რომ ჩაეხშო ეს შეშთა მოძრაობა, (პარაზის კომუნა), ამისათვის, ურჩევდა უმრავლესობა როდესაც მოხდება რუსეთში რევოლუცია, საჭიროა რევოლუციის გამარჯვებისთვის რევოლუციონურ დემოკრატიულ იმპერატორ პროლეტარიატის და გლეხობის იქმნა წარმოდგენილი რევოლუციონები და უმრავლესობამ მინც გაიტანა თავისი და დაგმეს შეგნდულება რევოლუციისზე, როგორც ბურჟუაზიულზე. ამ უმრავლესობას არ დაემორჩილა უმცირესობა (მენშევიკები); დაარღვია პარტიული დისციპლინა და მოახდინა რასკოლი (განხეთქილება) პარტიაში. როდესაც მოხდა რევოლუცია მას ხათვევში მოექცა ერთს მხრით ბურჟუაზია (დროებით მთავრობა) და მეორეს. ვითომდაც მსი საკანტროლოდ, საბჭოები. მაგრამ ბურჟუაზია ვერ აღმოჩნდა რევოლუციონური მან პირველ ყოველისა მონდობა ნიკოლოზ მეორის ძმის ტახტზე აყვანა, მაგრამ ამას წინააღმდეგა რევოლუციონური დემოკრატია და თავისი ზრახვანი ვერ გაახორციელეს. მაშინ ეს მთავრობა დაემხრო და მის მაგიერ შექმნილ იქმნა მთელი რიგი კაალიცონური მთავრობების. ამ მთავრობებმა დაიწყეს შეტევა და გააჩაღეს ომი მის მ. გვირად, რომ ეწარმოებოთ შინაური პოლიტიკა შიწის საკითხი არ გადასჭრეს და როდესაც გლეხებმა მონდომეს მემარტულეების მიწების ჩამორთმევა ისანი დაატუსაღეს; აგრეთვე, როდესაც მუშები განწირულათ იბრძოდენ ბურჟუაზიის დამხობისათვის მათ თოფებს უშვერდენ მათ გაჭეთებს და სტამბებს ხურავდენ და ამტვრევდენ და მათ ბელადებს კი სდევნიდენ და ატყროთ. ასეთი გარემოების მოთმენა არ შეეძლო მშრომელ ხალხს და დამხო ბურჟუაზიის ბატონობა და იმ პარტიების, რომლებიც

მას მხარს უჭერდენ. ოქტომბერში მოხდა მეორე რევოლუცია საიდანაც გამარჯვებულათ გამოვიდა მშრომელი მასსა, რომელმაც ჩააბარა თავისი ბელადობა თავის ორგანოებს (საბჭოებს) და აგრეთვე მუშთა და გლეხთა მთავრობას. ასე როგ შენშევიკებმა და მათმა დოკტრინამ იგემეს სრული დამარცხება; ეს მათ არ ექაშნიკათ და მონდომეს აქ კავკასიაში თავისი პატრონობის განმტკიცება. ისინი ახდენენ აქ კავკასიაში ექსპერიმენტებს, და მოქმედობენ იმავე მეთოდით, რომლითაც მოქმედებდენ რუსეთში. აქ კავკასიაში შექმნეს კომისარიატი, რომელიც შედიან მენშევიკებთან ერთად ბურჟუაზიის წარმომადგენლებიც ამ კომისარიატს არავითარი კარგი რამ არ გაუკეთებია ხალხისათვის, მან მხოლოდ გაამეფა, ეროვნულ საბჭოების შოვინისტურ ტენდენციების ზეგავლენით ანარქია მთელ კავკასიაში. აგერ ოცი დღეა, რაც დიდი უბედურება ტრიალებს ბაქს და თფილისის შვა. შინ მიმავალ ჯარისკაცებს, იარაღს ყრიან, ხოცვენ და აპის გამო მთელ მხარეს განსაცდელში იყენებენ. ამას უნდა მიაქციოს ყურადღება კავკასიის დემოკრატია დაგმოს გეგმეკორის მთავრობის მოქმედება. სხვათა შორის აქ კავკასიაში არსებულ ეროვნული საბჭოებში შედის, მენშევიკებიც და აწარმოებენ შოვინისტური პოლიტიკას. ვერც ეს ეროვნული საბჭო, ვერც კომისარიატი ვერ მისცემს ხალხს ვერაფერს. ის ებრძვის რუსეთის დემოკრატის და ფაქტიურათ დღეს ჩამოშორებულია მას. მხოლოდ და მხოლოდ საბჭოებს, ეს მშრომელი ხალხის ინტერესების დამცველ ორგანოებს, შეუძლია დაკმაყოფილოს დემოკრატია. ძირს კომისარიატი, ძირს ეროვნული საბჭოები, ძირს შოვინისტური პარტიები. გაუმარჯოს მთლიან დემოკრატიულ ფრონტს.

ბ. კიბეა.

ჩ ვ ე ნ შ ი.

გო რ ი. ახლათ მოსული ვიყავი გორში ფრონტიდან დაბრუნებული, მინდოდა გამეგო ჩემი ქვეყნის ამბავი თუ როგორ შეხვდა გორი და მისი მახრა თავისუფლებას. დაინახე სოფელ ტინისხიდის გლეხები ჯგუფათ მოღიან, ცოტა ხნის შემდეგ გამოჩნდა გოორგო ამილახვარი ფაიტონით მოჭქროლაეს ჩანებით გარშემორტყმული, მკითხველებმა კარგათ იცან, რომ ტინისხიდელებსა და ამილახვარს შორის დავა დიდხანია არის. დაბარებულეები იყვნენ გორის მაზრის კომისართან. ქალაქის თვითმართველობის დარბაზში გლეხები ქუდ მოხდილები დგანან აღულებულეები; გოორგო ამილახვარს ხელის ჩამორთმევით და სკამის მირთმევით დახვდა გოორგო მაჩაბელი და გახსნა კრება.

კითხვა ეკუთვნის გლეხებს. გლეხები. ბატონო კომისარო, რამდენი საუკუნე ვიტანჯებით ამილახვარისაგან, ჩვენ საკუთარი მამულეებზე მოსვენება არაგვაქვს რომ ვიმუშავოთ, თავისუფლათ დარბიან ჩანები, ისერიან იარაღს, რამდენი გამოუსალმებოთ წუთი სოფელს და რამდენი დაუჩხიბათ; ვთხოვთ, ბატონო, კომისარო გაიჩრეს საქმე და იარაღს აიყარონ ჩანებმა.

გოორგი ამილახვარი — ამხანაგო კომისარო, მოგხსენებათ მე ტყეები ბევრი მაქვს და ნადირობას დაჩვეული ვარ, მოხუცებული ვარ, მარტოკა ვერ წავალ ტყეში, ჩანებს იარაღს ვერ აყერი თან უნდა ვატარო, ნადირის ხორცი მიყვარს

კოორგი მაჩებელი: გლეხებო! იარაღი ქონდეს. ჩანებიც ყავდეს, მიწის საკითხს კომისიას გამოგვხვენი და გარჩევენ.

კრება დაიშალა გლეხები წავიდნენ დაღონებულეება, გოორგი გახარებული. ორი მოსისხლე მტერი ეხლა ერთსკამზე სხედან. 1905 წლიდან თავისუფლების შემდეგ გოორგი მაჩაბელმა იწყა წითელი რაზმის შედგენა თავად ანაჟრობის წინააღმდეგ, არც გოორგი ამილახვარი ჩამორჩა, ამანაც გამაგრა შავრაზმელები მაჩაბლის წინააღმდეგ. მეუბნებიან რათ გახთი ბალშევიკო. შენ ჩვენთან მუშავობდიო ევსირცხვილიაო. დიახ, ბატონებო, მენშევიკი ვახლდით იმიტომ, რომ იმ დროს გამოურკვეველი ვიყავი როდესაც მუშათა და გლეხთა უმრავლესობა შინ და ფრონტებზე შეთარაღებული ძალებით გვაავს, შორს მენშევიკობა. თქვენ კი იდენტ დიდი ცოდვას ისთორიის წინაშე უნდა ვახვიოთ ცეცხლის აღში მთელი ქვეყნიერობა, იარაღს იღებთ, აძლევთ ხალხის მტრებს, რომლებიც სოციალიზმის მოსისხლე მტრები არიან. ვის წავიკითხიათ საფრანგეთის დიდი რევოლუცია? სიხარულით აღტაცებულმა რევოლუციონერებმა ბურჟუაზიას ჩაუგდო ხელში პარიზი, როგორც პეტროგრადში. და მდიდრების მთავრობამ უმოწყალოთ ამოხოცა ქალაქის მუშები. მაგრამ ჩვენ რუსეთის მუშები ვერ მოვსტყუვდებით. ჩვენ შეგნებულათ ვადვენებთ თვალ ყურს ყოველივე ნაბიჯს, ვართ სოციალისტები და ვივლით კიდეს სოციალიზმისკენ შეუბოვრათ. გიმტკიცდებათ თქვენ მტრობა სოციალიზმისა, სარგებლობთ ხალხის შეუგნებლობით. გუშინ მშვიდრები, დღეს მძღრები თბილი ალაგებით, მაგრამ არ გავა დიდი დრო, მოგუთხოვებათ პასუხი თქვენი მოღვწეობისა. რუსეთის ავანგარდი, რევოლუციონური პროლეტარიატი არ დაყრის იარაღს სანამ არ გაიმარჯვებს.

გორის ციხელი.

რუსეთში.

კახათა ჯარის კაცები კალმ დინის წინააღმდეგ.

13 იანვარს სტ. კამენსკაიაში განისხნა ფრონტის კახათა ყრილობა, რომელსაც დაესწრენ წარმომადგენლნი 21 პოლკების, 5 ბატარიები და ორი სათადარიგო პოლკები. ექვე იყვნენ ყოფილი მონაწილენი ბორონეის მშრომელთა კახახობის თათბირისა. კალედინმა უბრძანა გაერკათ სიეზი და დაეჭირათ მასი ორგანიზატორები. ყრილობა დაადგინა ერთხმათ გამოუცხადოს კალედინს ომი და ჩაიგდოს მთელი ძალა უფლება დონის ოლოქში თავის ხელში. აირჩიეს სამხედრო-რევოლუციონური კომიტეტი. დაიჭირეს 18 უმაღლესი სამხედრო მთავრობის წარმომადგენელსი. კალედინის დასაჭირავათ ვაგზავნილია მე-10 პოლკი დაგვიანდა. მეორე დღეს სტანიცაში მოხდა გრანდიოზული მიტინგი. კახახები ანთებულნი არიან, ენტუზიაზმით. სურთ საკუთარი ხელეებით მოულონ ბოლო კალედინის.

ვის ხელშია ცენტრალური რუსეთი.

ქ მოსკოვში გაიმართა მოსკოვის ოლოქის მუშათა, სალდათთა და გლეხთა დებუტატების საბჭოების შეერთებული სიეზი, რომელზედაც სწორი მანდატით სულ 253 დღე-გატი გამოცხადდა ხოლ სათათფრო ხმით მწ. ვადამწყვეტი ხმები ასე განაწილდა: 21 ხმა მუშათა საბჭოების 99 — მუშათა და სალდათთა შეერთებული საბჭოების; 34 — მუშათა, სალდათთა და გლეხთა შეერთებული საბჭოების; 32 — გლეხთა დებუტატების საბჭოების. 2 გლეხთა და სალდათთა დებუტატების შერთებული საბჭოების 2 იც სალდათთა საბჭო სულ წირმოდენალი 112 საბჭო.

პარტიული შედგენილობა ასეთია. [70 — ბალშევიკია, [1 — ბალშევიკების მომხრე ჯგუფის, 45 — მემარტვენი ესერები, 8 — მენშევიკი. 6 — მემარჯვენე ესერები; 2 ს. ც. დ. პ. 1 — ანაქისტი; 1 — გაერთიანებული ს. დ. 6 — უპარტიო და 1 — სინდიკალისტი.

ამნაირათ მემარტვენეთა ბლოკი შედგება 230 კაციისაგან, ხოლო დანარჩენი 23 კაცი მემარჯვენეთა ბლოკს შეადგენს.

ყველა რევოლუციონემა ბალშევიკური ვადის

მუშათა და გლეხთა.

მთავრობის პატავაცეკლათ.

მუშათა და გლეხთა მთავრობას გადაეცა საგანგებო შენობა, რაც მეუათ მნიშვნელოვან აქტს შეიცავს. საბჭოთა მთავრობას პირველი პარტიესაცემი საჩუქარი უძღვნა არქიტექტორმა კონდრატიევმა, რომელმაც დაუთმო მის და მის სრულ განკარგულებაში გადასცა მშენებრი ესქეს სართულიანი სახლი ამ სახლს მოიხმარს სახელმწიფო შემწყალებ სალდათთა კომისია. ამ სახლში ამ წელს ბინადრობდა თურმე 1000 მღეოჯახი. მღგომარეობს აბანო განთება (ელექტრონი) და ვათობა მუქური აქვთ. სახლი არის სმოლნის ქუჩაზე, მუშათა უბანში. ამიერიდან ის მუშების საერთო საკუთრებათ ითვლება.

საზღვარ-გარეშო.

გაფიცვები.

ავსტრო-უნგარი. ბუდაპეშტში მოხდა დიდი გაფიცვები, ხალხი თხოულობს ზავს. ვენაში 200.000 მუშები გაფიცვა კიდევ გრძელდება გაფიცვები ხეება სხვა ადგილებშიც.

ავსტრია. თავის სიტყვაში რეისტატში ჩერინმა განაცხადა. რომ ავსტრიის მთავრობა რუსეთისგან არც ერთ აღლს მიწას არ თხოულობს, არც ერთ კაპეიკს კონტრიბუციას

გერმანია. ბერლინში ხთება გაფიცვები გაფიცვებს აწყობს დამოუკიდებელი სოც.-დემოკრატ. პარტია. შეიღე მანის მომხრე სოციალისტები ჯერ-ჯერობით მხარს არ უჭერენ გაფიცვას.

ცოტა რამ „წითელ გვარდის“ შესახებ.

ამხანაგებო! როგორც იცით აქ ბათუმში, არსებობს წითელ გვარდიელთა რაზმი. ამ გავრდიის შექმნაში არავითარი, მონაწილეობა არ მიუღია ბალშევიკებს, მენშევიკებს სურდათ თავისი მანა მორჩილი რაზმის შექმნა და იმათ არ მიუძარათავს ჩვენთვის, არ უთქვამთ მათ რომ თქვენც მიიღეთ მინაწილეობა შიგო. ასე რომ ეს გვარდა თავის შინაარსით არ არის რევოლუციონური, ის არის ნაციონალისტური, მისი ხელმძღვანელია ნაციონალისტური პარტია მენშევიკების. ამ რაზმის შექმნა მოხდა მუშათა ორგანიზაციების გარეშე, საყურადღებო ამ მხრით რ. კრასევიჩის (მენშევიკინტერნაცი). პასუხი ან ძე სთვის: „ თქვენ შეადგინეთ აქ თავისი ნაციონალისტური რაზმი და მუშათა ორგანიზაციას გვერდი აუარეთო“. ასეა საქმე, ამხანაგებო. და დროა დაფიქრდეთ მენშევიკების საქმიანობაზე.

ყოველ დღიური გაჯათი „ბრძოლა“

რუს. სოც.-დ. მუშ. პარტიისა (ბოლშევიკების) და კავკ. საოლქო ორგანო. რედაქციის ადრგის: თფილისი, განოვის ქ. № 3.

განცხადება.

ოზურგეთის ორგანიზაცია რუს-სოც.-დ. მუ. პ. ბოლშევიკები ამით უცხადება თავის თანამოაზრე პირთ, რომ პარტიაში ჩაწერა შეიძლება: 1) ქალაქის აფთაქის გამგესთან ფილიპე ცხომელიძესთან, 2) მარიამ ლომინაძესთან 3 — ჩ. სათამლის. ჯაბა მამულაშვილის სახლში. (თფილისის გვერდით).